საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია

ხელშეკრულება ერთ პირთან მოლაპარაკების მეთოდით სახელმწიფო

შესყიდვის შესახებ № 57

ქ. თბილისი 2 დეკემბერი 2014 წ.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის, პრეზიდენტის აკად. გ. ალექსიძის მეშვეობით /შემდგომში „დამკვეთი"/ ერთის მხრივ და შპს "მეტროსერვის +" /შემდგომში „მიმწოდებელი "/ მეორეს მხრივ ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების ობიექტის დასახელება

„შემსრულებელი" იღებს ვალდებულებას მიაწოდოს „დამკვეთს" 150 (ასორმოცდაათი) ლარის ღირებულების წლიური სამგზავრო ბილეთი.

2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება

2.1. „დამკვეთი" იღებს ვალდებულებას შეიძინოს „მიმწოდებლისაგან" წლის განმავლობაში 30 (ოცდაათი) ლარის ღირებულების წლიური სამგზავრო ბილეთი.

3. შესასყიდი საქონელის ხარისხის სტანდარტებთან შესაბამისობა

3.1. „მიმწოდებელი" იღებს ვალდებულებას მიაწოდოს „დამკვეთს" ზემოთ აღნიშნული საქონელი მოქმედი ტექნიკური სტანდარტების მიხედვით და ამ ხელშეკრულების შესაბამისად.

4. შესასყიდი საქონლის მიწოდების ვადები

4.1. „მიმწოდებელი" იღებს ვალდებულებას მიაწოდოს „დამკვეთს" აღნიშნული საქონელი თანხის ჩარიცხვიდან (მიღებიდან) 10 დღის განმავლობაში.

5. საქონლის მიღების წესი

5.1. შესასყიდი ობიექტი მიღებულად ჩაითვლება მას შემდეგ როცა „დამკვეთი" მიიღებს „მიმწოდებლი"-საგან მის მიერ გადახდილი თანხის შესაბამის საქონელს და ეს დაფიქსირებული იქნება მიღება ჩაბარების აქტით ან ანგარიშ ფაქტურით.

6. ანგარიშსწორების ფორმა

6.1. ანგარიშსწორება მხარეებს შორის მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1. ხელშეკრულების დამდებ არცერთ მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.
7.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

8. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის

8.1. ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ.
8.2. ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილების შესახებ, აღნიშნული გადაწყვეტილების ძალაში შესვლამდე მინიმუმ ერთი თვით ადრე.